პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 შაბათი 18 ივნისი № 142 (16882) ფასი 2 კაპ. 1977

ხვალ, 19 ივნისს ჩვენს რესპუბლიკაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებია.

ყველანი არჩევნებზე!

19 ივნისი

ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეა!

ხვალ ხის კეთილდღეობისათვის, კომუნიზმისათვის

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია

16 ივნისს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს პირველ სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს ტყეების დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საფუძვლების პროექტის საკითხები.

რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დეპუტატმა ვ. ი. ვოროტნიკოვმა აღნიშნა, რომ თუმცა რუსეთის ფედერაციაში მნიშვნელოვანი მოცულობით ამზადებენ მერქანს, ტყის ფართობი არათუ არ შემცირებულა, არამედ, პირიქით, გაცილებით გაიზარდა კიდეც. მაგრამ მერქნის დამზადება ძირითადად წარმოებს ქვეყნის ევროპულ ნაწილში და უფრო ნაკლებად — ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, სადაც მთავარი ტყის მასივებია თავმოყრილი. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს. ახალი რკინიგზის მაგისტრალების გაყვანა დიდად შეუწყობს ხელს აღმოსავლეთ რაიონებში ხე-ტყის დამზადების სამუშაოთა გააქტიურებას.

ახალი კანონი, თქვა დეპუტატმა, ტყის სიმდიდრეთა აღდგენისათვის ბრძოლის დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდება.

ტყის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის საკითხის სესიაზე გამოტანა კიდევ ერთხელ მოწმობს, თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტია და საბჭოთა სახელმწიფო ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, თქვა უკრაინის კომპარტიის ივანო-ფრანკოვსკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა პ. ფ. ბეზრუკმა.

ცნობილია, თქვა შემდეგ ორატორმა, თუ რა ბარბაროსულად ნეხავდნენ კარპატის ტყეებს წინათ. პარტიულმა, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებმა დიდი მუშაობა გასწიეს ტყის აღსადგენად და უკვე რამდენიმე წლია ტყის წლიური მატება ჭრას სჭარბობს.

დეპუტატმა გამოთქვა აზრი, რომ ტყის კანონში უნდა განსაზღვრულიყო კომპლექსურ სატყეო საწარმოთა ადგილი.

სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა დეპუტატმა ბ. ვ. პეტროვსკიმ აღნიშნა, რომ ტყის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტი ასახავს კომუნისტური პარტიის ზრუნვას საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობისათვის, მისი მშვიდობიანი შრომისა და ჯანმრთელობისათვის, ქვეყნის ბუნებრივი რესურსების შენარჩუნებისათვის.

დაავადებათა პროფილაქტიკისათვის, თქვა მინისტრმა, რომელიც საბჭოთა მედიცინის საფუძველია, ტყისა და მწვანე ნარგავების დაცვის ღონისძიებებს ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვინაიდან ეს ღონისძიებები უზრუნველყოფს ჰაერის, წყლის, ნაადგილი სიწმინდეს, ხელს უწყობს სიჩუმეს.

დეპუტატმა დამსწრეთ მოაგონა, რომ სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილია ჩვენი ქვეყნის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის უფლება. მეათე ხუთწლედის ყოველი წელი, თქვა მან, ადასტურებს ამ შესანიშნავ სიტყვებს.

ბუნების გარდაქმნაში ადამიანის კეთილშობილურ მისიას მიუძღვნა გამოსვლა უბზეკეთის კომპარტიის ჯიზაკის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა დეპუტატმა ხ. მ. ტაიროვმა. რესპუბლიკაში კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის მეოხებით უდაბნოები და ხრიოკი მთები ბაღნარად გადაიქცა, თქვა მან, ხალხის საკეთილდღეოდ მიმდინარეობს მშიერი ველის ათვისება. სახე იცვალა ყარმისა და ჯიზაკის ველებმა, გვნებდება ყიზილყუმის უდაბნო, ბრინჯის ბელელი იქმნება ყარაყალპაყეთში.

კანონპროექტი დიდ პერსპექტივებს გვისახავს უდაბნოებისა და მთების შემდგომ ათვისებაში. დეპუტატმა წამოაყენა წინადადება, რომ კიდევ უფრო გაძლიერდეს სამეცნიერო შექანიზაცია მთაში, გაუმჯობესდეს ტექნიკა.

დეპუტატმა პ. პ. იონაიტისმა — ლიტვის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობა „ტარიბინუ კალუს“ მთავარმა აგრონომმა აღნიშნა, რომ ლიტვაში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართო განხილვის დროს საგანგებოდ თქვეს: კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის მიზანია ჩვენი სამშობლოს ტყის სიმდიდრის დაცვა, მისი უფრო რაციონალური გამოყენება. ტყე, თქვა დეპუტატმა, დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას მოითხოვს. ტყის აღდგენის სამუშაოები უნდა წარმოებდეს არა მარტო სახელმწიფო ტყის მასივების ტერიტორიაზე, არამედ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ახალი სატყეო კანონმდებლობა, თქვა სოქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. ვ. გილაშვილმა, ხელს შეუწყობს ქვეყნის ტყის სიმდიდრის შენარჩუნებას, გამრავლებასა და სწორ გამოყენებას. (ამბ. პ. ვ. გილაშვილის სიტყვა დღეს ქვეყნდება).

აზერბაიჯანის ნ. ნარიმანოვის სახელობის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორმა დეპუტატმა ზ. ტ. ყულიევამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსახილველი საფუძვლების პროექტი უმნიშვნელოვანესია დაკავშირებული ადამიანის ჯანმრთელობის უზრუნველყოფასთან. გარემოს მდგომარეობა მედიცინის ბევრი პრობლემის გადაჭრის განმსაზღვრელი ფაქტორია, ტყე კი ამ გარემოს დიდმნიშვნელოვანი კომპონენტია.

ტყის კანონმდებლობის საფუძვლების მიღება, თქვა დეპუტატმა, უშუალოდ სამეურნეო ამოცანების გადაწყვეტასთან ერთად ხელს შეუწყობს აგრეთვე საბჭოთა ადამიანების აღზრდას ჩვენი სამშობლოს ბუნებრივ სიმდიდრეთა დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილის — ტყის გონივრული, ყაირათიანი გამოყენებისათვის მაღალი პასუხისმგებლობის სულისკვეთებით.

გორკის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ი. სემეონოვმა თქვა, რომ პატარ-პატარა დაბაზმაფებელ ორგანიზაციებში მცირეა სამასალე მერქნის გამოსავლიანობა. ამავე დროს ხე-ტყის მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში იგი 85 პროცენტს აღწევს, ხოლო თვითღირებულება ერთნახევარჯერ ნაკლებია. ხე-ტყის დამზადების წარმოების კონცენტრაცია და დაპუშავების გაუმჯობესება დარგს დამატებით მიაღებინებდა მილიონ კუბურ მეტრ მერქანს და ყოველწლიურად დაზოგავდა 2,5 ათას პეტრარ ტყეს.

კომის ასს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა პ. ა. ბეზნოსოვმა აღნიშნა, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ავტონომიურ რესპუბლიკაში მეტი ყურადღება ეთმობა წარმოების სტრუქტურის სრულყოფას, ტყის სიმდიდრის კომპლექსურ და რაციონალურ გამოყენებას. ხე-ტყის დამზადების შემდგომი განვითარების მთავარი მიმართულებაა წარმოების კონცენტრაცია და საწარმოთა გამსხვილება. მთელ წლის მანძილზე მოქმედი საავტომობილო გზების ქსელის განვითარება, ხე-ტყის დამამზადებელთა დასახლების მშენებლობა.

ბუნებრივი რესურსების რაციონალურ გამოყენებაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სახელმწიფოს სიმდიდრე და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობა, აღნიშნა ვიტებსკის ოლქის დოკშიცის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ დეპუტატმა ლ. ა. პეტრაშკევიჩმა. მან გამოთქვა მთელი რიგი წინადადებანი ტყის ინდუსტრიის ტექნიკური განახლების, ტყის აღდგენის საუშაოთა ტექნოლოგიის სრულყოფის, სახელმწიფო სატყეო დაცვის როლის გაძლიერების შესახებ.

გამოსულმა დეპუტატებმა წარადგინეს წამოაყენეს მოიწონონ „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები“, ამასთან გაითვალისწინოთ ცვლილებანი და დამატებანი, რომლებიც მუდმივმა კომისიებმა შეიტანეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მთავრობის შემადგენლობაში ზოგიერთი ცვლილების გამო კავშირის საბჭოს შესაბამისი ცვლილებანი შეიტანა საკანონმდებლო განხახილებათა კომისიამ და საგარეო საქმეთა კომისიის შემადგენლობაში.

ამით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს სხდომა დამთავრდა.

16 ივნისს კრემლში, პალატების სხდომათა დარბაზში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ერთვნებათა საბჭოს პირველ სხდომაზე დაიწყო ტყის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების, ტყის რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებებისა და სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ტყის კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის საკითხთა განხილვა.

გამოდის პარტიის ჩერნიგოვის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი დეპუტატი ნ. ვ. უმანეცი. სსრ კავშირში, თქვა მან, ტყე დიდ როლს ასრულებს ეკონომიკის განვითარებაში, გარემოს გაუმჯობესებასა და მთელი ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ტყეების მრავალმხრივი მნიშვნელობა ზოგადსახელმწიფოებრივი ამოცანების ხასიათს ანიჭებს ტყის სიმდიდრის რაციონალური გამოყენების, დაზოგვისა და გამრავლების საქმეს.

ორატორმა ილაპარაკა ჩერნიგოვის ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ტყის მასივებზე, მათი დაცვისა და რაციონალური გამოყენების ღონისძიებებზე. მან შეიტანა წინადადება, რომ მაღნიერებმა გააძლიერონ ლაზმარება სატყეო მეურნეობის მშრომელებისადმი ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვაში.

ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. ფ. მიცკევიჩმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტი თანმიმდევრულად აყენებს და წყვეტს სოციალისტურ ეკონომიკურ ურთიერთობათა ინტენსიურ განვითარებასა, ეროვნულ-სახალხო განხილვის ორგანიზაციისათვის უკრაინის სსრ და ლიტვის სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის საკითხზე.

სხდომა გაიხსნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლით.

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესია. სურათზე: კავშირის საბჭოსა და ერთვნებათა საბჭოს გაერთიანებული სხდომა.

ხაჯდასი-საქინფორმის ტელეფოტო.

მოსკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის თავმჯდომარეობით 17 ივნისს კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. სურათზე: სხდომის დროს.

ხაჯდასი-საქინფორმის ტელეფოტო.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა

17 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის თავმჯდომარეობით კრემლში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა. იმსჯელეს სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საკონსტიტუციო-სახალხო განხილვის ორგანიზაციისათვის უკრაინის სსრ და ლიტვის სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობის საკითხზე.

სხდომა გაიხსნა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გამოსვლით.

ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლა

სანამ ღღის წესრიგის საკითხების განხილვას შეუდგებოდეთ, ნება მიბოძეთ, რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ უმთავრესად სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის უკანასკნელ გადაწყვეტილებებთან დაკავშირებით, იმ უპირველესი ამოცანების შესახებ, რომლებიც უახლოეს დროში ერთად უნდა გადაწყვიტოთ.

უწინარეს ყოვლისა მინდა კიდევ ერთხელ მადლობა მოვახსენო პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს, ყველა დეპუტატს, თქვენ— უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრებს, ასეთი დიდი ნდობა რომ გამომიცხადეთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტი უაღრესად პასუხისაგებია. აქ, პრეზიდიუმში, მართალია რომ თავს იყრის საბჭოთა ხელისუფლების ყველა ძარღვი, რომლებიც 50 ათასზე მეტ საბჭოსთან გვაკავშირებს. მრავალი ათასი ადამიანი მოგვმართავს სხვადასხვა საკითხზე. თქვენ, ამხანაგებო, რა თქმა უნდა, კარგად გესმით, რომ ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის გადაწყვეტილება სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტების შეთავსების შესახებ სრულიადაც არ არის ფორმალური აქტი. პლენუმის გადაწყვეტილებას ღრმა პოლიტიკური აზრი აქვს.

ეს, უწინარეს ყოვლისა, იმის გამოვლინებაა, რომ დღეიადაგ იზრდება ხელმძღვანელი როლი კომუნისტური პარტიისა, რომელიც მთელი ჩვენი პოლიტიკური სისტემის, მშრომელთა ყველა ორგანიზაციის — როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივი ორგანიზაციების ბირთვია. მოქმედებს რა საბჭოთა-კონსტიტუციის ფარგლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, როგორც ნამართველი პარტია, კვლავაც განსაზღვრავს პოლიტიკურ ხაზს სახელმწიფო ცხოვრების ყველა საკვანძო საკითხის გადაწყვეტაში.

მაისის პლენუმის გადაწყვეტილებაში აისახა აგრეთვე ჩვენი ყოველდღიური მუშაობის პრაქტიკა, რომლის დროსაც ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ბევრ წევრს უხდება სახელმწიფო საქმის უშუალო გაძღოლა ქვეყნის შიგნითაც და საზღვარგარეთაც. კერძოდ, მეც, ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს, არაერთხელ, მათ შორის თქვენი დავალებით, როგორც იცით, ეყოფილვარ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში, მშვიდობის განმტკიცების, ხალხთა უშიშროების უზრუნველყოფის კარდინალურ საკითხებზე მოლაპარაკებაში. ახლა ეს პრაქტიკა ლოგიკურად ფორმდება.

როცა ყოველივე ამას ვფიქრობ, ნათლად წარმომიდგება, რა დიდ დამატებითს პასუხისმგებლობას მაკისრებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილება. პირდაპირ გეტყვით, ეს ოლი არ არის. ამაშიც თქვენი დახმარების, თქვენი გაგებისა და მხარდაჭერის იმედი მაქვს.

მე უკვე მიმუშავია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე, მრავალ წელს ვყოფილვარ პრეზიდიუმის წევრი და უყოყმანოდ დავასკვენი: ამ ორგანოს ძალაა ჩვენი ერთსულოვანი და შეხმატკბილებული მუშაობა. კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი, რომელსაც ჩვენი პარტია და სახელმწიფო ახორციელებენ, აქ მაქსიმალური სისრულით უნდა ვლინდებოდეს.

ამავე დროს ნებისმიერი პარტიული თუ სახელმწიფო ორგანო მხოლოდ მაშინ მუშაობს კარგად, როცა თითოეული მისი წევრი, თითოეული მუშაკი მთელი ძალით მოქმედებს, თავს არ ზოგავს ჩვენი საერთო საქმისათვის, ეფიქრობ, ამხანაგებო, ყველანი დამეთანხმებით ამაში.

თუ ვილაპარაკებთ უმაღლეს საბჭოს თვალთახედვის არეში არსებულ საკითხებზე, იგი შეუნელებელ ყურადღებას უთმობს კანონმდებლობის განვითარებას, გეგმისა და ბიუჯეტის განხილვას და სულ უფრო ხშირად წყვეტს მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში საქმის ვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებს, ისმენს ამ საკითხებზე მთავრობის მოხსენებებს. უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც დღეს დამთავრდა, ამის დამაჯერებელი დადასტურებაა. სულ უფრო გამეზნული და ღრმა ხდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კონტროლი მართვის ორგანოებისადმი. ამ საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც ეს უკვე აღინიშნა ჩვენი პარტიის ყრილობებზე, 30 მუდმივ კომისიას, რომლებშიც უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ორ მესამედზე მეტი მუშაობს.

ცხადია, ამხანაგებო, რომ უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყველა მხარის შემდგომი განვითარების შესახებ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად სულ უფრო უნდა გააქტიურდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მუშაობა. ვფიქრობ, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ასეთი აქტიური პოზიცია, ინიციატივიანი მუშაობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახლა, როცა მივიღეთ სსრ კავშირის ახალ კონსტიტუციას. იგი უმაღლეს საბჭოს კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობებს მისცემს თავისი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. და ჩვენ რაც შეიძლება სრულად და ნაყოფიერად უნდა ავითვისოთ ეს შესაძლებლობანი.

რას ვგულისხმობთ ამაში?

უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ახალ კონსტიტუციაში კიდევ უფრო ზუსტად იქნება ჩამოყალიბებული უმაღლესი საბჭოს ყოვლისმომცველი უფლებამოსილება. მას შეუძლია განიხილოს და გადაწყვიტოს სსრ კავშირის კომპეტენციაში შემავალი ნებისმიერი საკითხი.

ამ უფლებამოსილების მნიშვნელოვან ნაწილს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ახორციელებს. ამიტომ პრეზიდიუმი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მთელი მუშაობის ორგანიზატორად გვევლინება. ეს არის — სესიებიც, მუდმივი კომისიების საქმიანობაც, საარჩევნო ოლქებში დეპუტატთა მიერ თვიანთი მოვალეობების შესრულებაც. ქვეყნის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს მუშაობის ყოველი ეს ფორმა, როგორც იტყვიან, ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ, იგი კიდევ უფრო უკეთ უნდა ემსახურებოდეს ყველა მთავარი მიმართულებით უმაღლესი საბჭოს საქმიანობის გაძლიერებას.

ახალი კონსტიტუცია საფუძვლად დაედება ჩვენი საკანონმდებლო მუშაობის შემდგომ გაძლას. საკმარისია შეგახსენოთ, რომ თვით კონსტიტუციის პროექტში დასახელებულია ათამდე კანონი, რომლებიც უახლოეს დროში უნდა მივიღოთ. მათ შორის არის დიდი საკანონმდებლო აქტები — უმაღლესი საბჭოს — რეგლამენტი, კანონი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შესახებ, კანონები არჩევნების, სახალხო კონტროლის შესახებ და ა. შ.

მაგრამ მინდა აქ ყურადღება მივაპყრო ამ საკითხის მეორე მხარესაც. რაც უფრო ვავითარებთ საბჭოთა კანონმდებლობას, მით უფრო მეტად უნდა ვიზრუნოთ მისი ზუსტი და განუხრელი შესრულებისათვის. ჯერ კიდევ ძველად უთქვამთ: კანონის წერას რა ჭკუა აქვს, თუ არ შესრულდებაო. ამიტომ, როგორც ჩანს, უფრო აქტიურად უნდა ვითარდებოდეს უმაღლესი საბჭოს, მისი პრეზიდიუმის, მუდმივი კომისიების საკონტროლო მუშაობა იმისადმი, თუ როგორ სრულდება ჩვენი კანონები, როგორ მიმდინარეობს უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული სახალხო-სამეურნეო გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის რეალიზაცია.

უმნიშვნელოვანესი მიმართულება, რომლითაც ახალი კონსტიტუციის შესაბამისად, უთუოდ, განვითარდება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის საქმიანობა, სახალხო დეპუტატების საბჭოებისადმი ხელმძღვანელობაა.

კონსტიტუციის პროექტი ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ ყველა საბჭო, უმაღლესიც და ადგილობრივიც, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ერთიანი სისტემაა, საერთო-სახალხო სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძველია.

კომუნისტური პარტია ყოველთვის იმით ხელმძღვანელობდა, რომ ყოველი ჩვენი საბჭო უმაღლესი ხელისუფლების ნაწილაკია, რომ იგი არა მარტო უფლებამოსილია წყვეტდეს მის კომპეტენციაში შემავალ ყველა საკითხს, არამედ საერთო-სახელმწიფო გადაწყვეტილებების გამტარებელიც არის. ეს, ამხანაგებო, უაღრესად მნიშვნელოვანი პრინციპია. უმაღლესი და ადგილობრივი ორგანოების ასეთი ერთიანობა, უმაღლესი ხელისუფლების დაყრდნობა ადგილობრივი საბჭოების ინიციატივაზე გამოხატავს საბჭოების მთავარ არსს — მათ ურღვევ კავშირს ხალხის მასებთან.

ახლა, როცა კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ სსრ კავშირი აწყობს ხელისუფლებისა და მმართველობის რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების ორგანიზაციისა და საქმიანობის ზოგად საწყისებს, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ და მისმა პრეზიდიუმმა სერიოზულად უნდა გააძლიერონ მუშაობა ამ მიმართულებით.

(დასასრული მე-2 გვ.)

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ცნობა

(დასასრული)

ვ. ი. ლენინს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ „იმაზე დიდი სიბრიყვე არა არის რა, როგორც საბჭოების გადაქცევა გაყინულ და თვითკმარ რამედ". და მართლაც, ამხანაგებო, საბჭოები ხალხის ცოცხალი, მოძრავი, მუდმივად განახლებადი ორგანიზაციაა. ისევე როგორც თავის დროზე მათ შეძლეს საერთო კალაპოტით წარმართათ მასების რევოლუციური მოძრაობა, მათი მეცადინეობა სოციალიზმის მშენებლობაში, ისე ახლაც, მომწიფებული სოციალიზმის პირობებში. საბჭოების მუშაობაში შესისხლხორცებული უნდა იყოს ბრძოლა წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის, პარტიის მიერ დასახული ფართო სოციალური პროგრამის შესრულებისათვის, ჩვენი სოციალისტური დემოკრატიის ყველა მხარის განვითარებისათვის, ესე იგი კომუნიზმის მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და მისი პრეზიდიუმის საქმიანობაში, როგორც ცნობილია, მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საგარეო პოლიტიკის საკითხებს.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი მეცადინეობა მიზნად ისახავს მშვიდობის განმტკიცებას, ახალი მსოფლიო ომის საფრთხის შენელებას, გამალებული შეიარაღების ალაგმვას, სოციალისტმის პოზიციების, ხალხთა თავისუფლებისა და სოციალური პროგრესისათვის, ყველა სახელმწიფოს ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობისათვის მეტრძოლი მთელი ძალების განმტკიცებას. ეს მეცადინეობა ეყრდნობა მთელი ჩვენი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას, მას მხარს უჭერს და გაგებით ეკიდება მილიონობით კეთილი ნების ადამიანი მსოფლიოს ყველა ქვეყანაში.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის საწყისი პრინციპები ზუსტად და მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ახალი კონსტიტუციის პროექტში, სსრ კავშირის უმაღლესმა საბჭომ, მისმა პრეზიდიუმმა, მუდმივმა კომისიებმა, დეპუტატებმა მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანონ ამ პრინციპების განხორციელებაში, საზღვარგარეთის ქვეყნებთან კონტაქტების განვითარებაში.

ახლა, როცა ჩვენი ხალხი ეგებება დიდ ოქტომბრის მე-60 წლისთავს, როცა ყველგან განიხილავენ ქვეყნის ახალი ძირითადი კანონის პროექტს, განსაკუთრებით იგრძნობა საბჭოთა ადამიანების აქტიური და შემოქმედებითი მონაწილეობა ჩვენი ლენინური პარტიის მიერ დასახული გეგმების რეალიზაციაში, კომუნიზმის მშენებლობაში.

პარტიისა და მთავრობისადმი ხალხის ნდობა ბევრ რამეს გვაავალებს. იგი ყველა ჩვენგანისაგან მოითხოვს, რომ ვიმუშაოთ უკეთ, უფრო მეტი ყურადღებით მოვეკიდოთ საბჭოთა ადამიანების მზარდ მოთხოვნილებებს.

19 ივნისს მთელ ჩვენს ქვეყანაში გაიმართება ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. ეს ერთ-ერთი ის არის, რომ არჩევნები ადევ ერთხელ ცხადყოფს ჩვენი ხალხის ერთობას, მის მონოლითურ შეკავშირებას კომუნისტური პარტიის გარშემო.

ამიტომ საეჭვებით კანონზომიერია, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დღევანდელი სხდომის დღის წესრიგში შეტანილია საკითხი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზაციისათვის ორი ჩვენი რესპუბლიკის — უკრაინისა და ლიტვის საბჭოების მუშაობის შესახებ.

სიტყვა ეძლევა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ამხანაგ ა. თ. ვაბრინსკს. პრეზიდიუმის წევრთა და ყველა დამსწრე ამხანაგის სახელით მან გულითადად და მხურვალედ მიულოცა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს- სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევა, საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მაღალი და პასუხსაგები პოსტის დაკავება მან ლ. ი. ბრეჟნევს უსურვა კიდევ უფრო დიდი წარმატებანი დაუცხრეველ მოღვაწეობაში კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებისათვის, ჩვენი დიდი ხალხის საკეთილდღეოდ.

როცა შეეხო უკრაინის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუშაობას კონსტიტუციის პროექტის ფართო განხილვის ორგანიზაციის საქმეში, ა. თ. ვატჩენკომ აღნიშნა, რომ მშრომელებისათვის ჩვენი სახელმწიფოს ძირითადი კანონის დებულებების ღრმა ახსნა-განმარტების მიზნით ფართოდ იყენებენ მზადებას ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის. ყველა საარჩევნო კრება და ამომრჩეველთა შეხვედრა დეპუტატობის კანდიდატებთან მოეწყო კონსტიტუციის პროექტისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენების განხილვისა და პროპაგანდის ნიშნით. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტებს განვიხილავთ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს სესიაზე. აგრეთვე ყველა ახლად არჩეული ადგილობრივი საბჭოს პირველ სესიებზე.

როცა კონსტიტუციის პროექტის განხილვას აწყობენ მთელ მოზრდილ მოსახლეობაში, აღნიშნა ა. თ. ვატჩენკომ, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები პარტიულ ორგანოებთან ერთად ახორციელებენ ამ განხილვის მსვლელობაში მართვის ადგილობრივი ორგანოების მიმართ გამოთქმული წინადადებებისა და კრიტიკული შენიშვნების რეალიზაციის ღონისძიებებს, აღლაერებენ ყურადღებას მშრომელთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვისადმი.

რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და პროფკავშირული ორგანოები, რომლებიც ითვალისწინებენ კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვით გამოწვეულ პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობას, ბევრი საწარმოო კოლექტივის მიერ წინათ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას, დიდ მუშაობას ეწევიან გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებათა მიღებისათვის.

შემდეგ გამოვიდა ლიტვის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი ა. ს. ბარკაუსკასი. რესპუბლიკის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის სახელით მან გულწრფელად მოულოცა ლეონიდ ილიას-ძეს და წარმატებანი უსურვა უმაღლეს სახელმწიფო პოსტზე.

ა. ს. ბარკაუსკასმა აღნიშნა, რომ ლიტვის სს რესპუბლიკაში გამართულ მიტინგებსა და კრებებზე სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის მსვლელობაში გამოვიდა 8 ათასამდე კაცი. ყველგან კონსტიტუციის პროექტს ერთსულოვნად იწონებენ. საბჭოთა ადამიანები კმაყოფილებას გამოთქვამენ იმის გამო, რომ პროექტში მკაფიოდ არის განსაზღვრული პარტიის როლი ჩვენს საზოგადოებასა და სახელმწიფოში, რომ იგი შეიცავს დებულებებს წარმოების მართვაში მშრომელთა კოლექტივების როლის, ქალაქსა და სოფელს შორის არსებითი განსხვავებების მოსპობის, კომკავშირისათვის საკანონმდებლო ინიციატივის უფლების მინიჭების შესახებ.

სხლომის დასასრულს ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თქვა:

ვფიქრობ, რომ ამხანაგების ინფორმაციები უკრაინისა და ლიტვის სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის კონსტიტუციის საყოველთაო-სახალხო განხილვის გაშლის შესახებ საკმაოდ ნათლად გვიჩვენებს, თუ რა უდიდეს მუშაობას ეწევიან საბჭოები და პარტიული ორგანიზაციები კონსტიტუციის პროექტისა და ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის მასალების განხილვასთან დაკავშირებით. ამ დოკუმენტების განხილვის გამო ქვეყანაში დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა სუფევს.

ჩვენ კარგად უნდა გვქონდეს დაყენებული ხალხფორმაციო მუშაობა კონსტიტუციის პროექტის განხილვის ყველა ეტაპზე. ვფიქრობ, რომ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე მოხსენებაში ჩემ მიერ დასახული ამოცანები საკმაოდ ნათელია და შედეგად განმარტებას არ მოითხოვს. საქმე ის არის, რომ ახლა ყველგან გავშალოთ დიდი ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ამ დოკუმენტებისა და გადაწყვეტილებების, აგრეთვე ქვეყნის პრაქტიკული ამოცანების ახსნა-განმარტებისათვის.

მიღებულ დადგენილებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის ორგანიზაციისათვის გაწეული დადებითი მუშაობა და წინადადება წამოაყენა, რომ უზრუნველყონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო სახალხო განხილვის შემდგომი გაშლა და მისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე საკითხის განხილვაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ვ. გრიშინი, დ. ა. კუნაევი, გ. ვ. რომანოვი, ვ. ვ. შჩერბიცკი, პ. მ. მაშეროვი, ბ. ნ. პონომარიოვი, შ. რ. რაშიდოვი, ი. ვ. კაპტანოვი, აგრეთვე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ა. პ. შიტიკოვი და ვ. პ. რუბენი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე. (საკდესი).

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კანონი

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1. დამტკიცდეს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლები და ამოქმედდეს 1978 წლის 1 იანვრიდან.

მუხლი 2. დაევალოს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, რომ დაადგინოს სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლების ამოქმედების წესი და შეუსაბამოს სსრ კავშირის კანონმდებლობა ამ საფუძვლებს.

მუხლი 3. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებს, რომ შეუსაბამონ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების ტყის კანონმდებლობის საფუძვლებს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

დეპუტატ ი. ე. პოლიაკოვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ დეპუტატი ივანე ევტიხის ძე **პოლიაკოვი** — ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

სამშობლოს ჯილდოები გადაეცათ

სოჩა ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა 17 ივნისს კრემლში ლენინის ორდენი და ოქროს medali „ნამგალი და ურო" გადასცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს გენერალ-პოლკოვნიკ გ. კ. ცინევს. სამშობლოს ეს მაღალი ჯილდო გ. კ. ცინევს მიენიჭა სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისა და სამოცდაათი წლის შესრულებასთან დაკავშირებით.

ლენინის ორდენები გადაეცათ აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს გ. ა. ალიევს, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ე. ა. ვოსს, სკკპ თათრეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს თ. ა. ტაბეევს.

შრომის წითელი დროშის ორდენები გადაეცათ ტაჯიკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ჯ. რასულოვსა და ტაჯიკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს რ. ნაბიევს.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა გულითადად და გულთბილად მიულოცა დაჯილდოებულთ მაღალი სახელმწიფო ჯილდოები და უსურვა მათ ახალი დიდი წარმატებანი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

დაჯილდოებულებმა უღრმესი მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა სახელმწიფოს მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და აღუთქვეს, რომ კვლავაც მთელ ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას მოახმარენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების საქმეს.

მათ გულთბილად მიულოცეს ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩევა, უსურვეს ახალი წარმატებანი პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეობაში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილება

ყველების დაცვის შემდგომი გაუმჯობესებისა და ყის რესურსების რაციონალური გამოყენების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის ბუნებრივ სიმდიდრეთა მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია ტყეები, რომლებსაც უდიდესი სახალხო-სამეურნეო, ეკონომიკური და სოციალური მნიშვნელობა აქვს. ტყის სახელმწიფო საკუთრება და სახალხო მეურნეობის გეგმიანი გაძღოლა სსრ კავშირში ტყის რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენების, ტყეების დაცვისა და აღდგენის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის მთავარი პირობაა სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის მრავალმხრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის, ვარემოს გაუმჯობესებისათვის, საბჭოთა ადამიანების ახლანდელი და მომავალი თაობების ჯანმრთელობის დაცვისა და კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის. ყველა ამ ამოცანის განხორციელებას აქტუალური მნიშვნელობა ენიჭება მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საქალაქო მშენებლობის სწრაფი განვითარების პირობებში.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ ტყის სიმდიდრეთა დაცვისა და გამრავლებისათვის, მათი ყაირათიანი გამოყენების უზრუნველყოფისათვის. ეს ზრუნვა კონკრეტულად არის გამოხატული სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებებში, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების სახელმწიფო გეგმაში, რომლებიც განსაზღვრავს სატყეო მეურნეობის, ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის დარგების შემდგომი განვითარების, ბუნების დაცვის ვრცელი პროგრამის რეალიზაციისა და ბუნებრივი რესურსების ყაირათიანი გამოყენების უზრუნველყოფის ძირითად მიმართულებებს.

უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ქვეყანაში მნიშვნელოვანი მოცულობის სამუშაოები ხორციელდება ტყეების აღდგენა-გაშენებისათვის, მათი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, ხორციელდება სატყეო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, ხანძრისაგან, მავნებლებისა და ავადმყოფობისაგან ტყეების დაცვის ღონისძიებები.

ტყეებს ახლა უფრო ფართოდ იყენებენ მოსახლეობის გაჯანსაღების, დასვენების, ტურიზმის, კულტურულ-ესთეტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით.

ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის ტექნიკური აღჭურვის დონის ამაღლებამ, წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფამ საშუალება მოგვცა გაგვიდიდებინა ხე-ტყის დამზადება მრავალტყიან რაიონებში და შეგვემცირებინა იგი ქვეყნის მცირეტყიან რაიონებში, უფრო სრულად გამოგვიყენებინა დამზადებული მერქანი.

კიდევ უფრო განვითარდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები სატყეო მეურნეობის გაძღოლის, ხე-ტყის დამზადებისა და ხე-ტყის გადამუშავების წესებისა და მეთოდების გაუმჯობესების აქტუალურ პრობლემებზე.

ტყეების რაციონალურ გამოყენებას, აღდგენას, მოვლა-დაცვას აქტიურად უწყობენ ხელს პროფესიული კავშირები, ბუნების დაცვის საზოგადოებები, ახალგაზრდული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები.

ამასთანავე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო აღნიშნავს, რომ ტყეების გაშენებისა და მათი დაცვის, ტყის რესურსების გამოყენების საქმეში არსებითი ნაკლოვანებებია.

ყველგან ეფექტიანად როდი წარმოებს ტყის აღდგენისა და გაშენების სამუშაოები. სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მნიშვნელოვანი თართობი გაუტყეევებელი რჩება. ქვეყნის ზოგიერთ რაიონში ტყის აღდგენის სამუშაოთა ტემპი ჩამორჩება ხე-ტყის დამზადების ტემპს, ყოველთვის როდი ყურადღებას ექცევა ნორჩ ნარგავებს, რის გამოც წიწვოვანთა ნაკაფის დიდ ფართობზე მრავლდება ნაკლებად ძვირფასი რბილი ფოთლოვანი ჯიშები, არის ტყის კულტურების დაღუპვის შემთხვევები; ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა დამცავ ტყის გაშენებას, არ არის უზრუნველყოფილი ამ მიზნისათვის გამოყოფილი სახსრების კონცენტრაცია.

ტყეების დაცვის გარკვეული გაუმჯობესების მიუხედავად, ტყის ხანძრები ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ზარალს აყენებს სახალხო მეურნეობას, განსაკუთრებით ჩრდილოეთის, ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში. ტყეებში სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვისადმი სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ორგანოთა კონტროლის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება წაყენებულ მოთხოვნებს, სუსტად სრულდება ტყის ხანძრების თავიდან აცილების სამუშაოები.

ჯერ კიდევ დიდია მერქნის დანაკარგები ხე-ტყის დამზადებისა და დაცურების დროს. ქვეყნის ზოგიერთ მრავალტყიან რაიონში კვლავ წარმოებს პირობითპირწმინდა ჭრა, რაც იწვევს ტყის ნედლეულის რესურსების არასრულ გამოყენებას, ტყეების მდგომარეობისა და მათი განახლების პირობების გაუარესებას.

იმის გამო, რომ საკმარისად არ არის განვითარებული ცელულოზა-ქაღალდისა და ჰიდროლიზური მრეწველობის სიმძლავრეები და სუსტად ინერგება ახალი ტექნოლოგია, სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში შეფერხებულია რბილი ფოთლოვანი ჯიშების მერქნის გამოყენება. ამავე დროს ამ რაიონებში ხდება ხოლმე წიწვოვანი ტყეების ჭარბად ჭრა. ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მერქნის გადასამუშავებელი სიმძლავრეები მნიშვნელოვნად ჩამორჩება ხე-ტყის დასამზადებელი მრეწველობის განვითარებას, რაც იწვევს დიდ დამატებითს ხარჯებს მრგვალი ხე-ტყის არარაციონალური შორეული გადაზიდვისათვის.

ყოველთვის საკმარისად როდი იყენებენ ზომაწვრილ მერქანს, აგრეთვე ტყეკაფის დამუშავებისას, ხე-ტყის დახერხვისა და დამუშავების დროს მიღებულ ნარჩენებს. ჯერ კიდევ დიდი რაოდენობით იკარგება მერქანი რკინიგზის ტრანსპორტით მისი გაზიდვის დაგვიანების გამო.

ხე-ტყის მრეწველობის წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში არსებითი ნაკლი ის არის, რომ მერქნის დამზადებასა და გადამუშავებას ეწევა ბევრი სამინისტრო და უწყება, რომლებსაც, როგორც წესი, წვრილი საწარმოები აქვთ და ამიტომ ვერ უზრუნველყოფენ დამზადებული მერქნისა და მისი ნარჩენების კომპლექსურ გამოყენებას.

სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის საწარმოები ჯერ კიდევ საკმარისად არ არიან აღჭურვილი სატყეო-სამეურნეო და ხე-ტყის დასამზადებელ სამუშაოთა შესრულებისათვის საჭირო ტექნიკური საშუალებებით. სატყეო მეურნეობის, ხე-ტყის მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის დარგების სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციები აყოვნებენ ამ სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის გათვალისწინებული მანქანების სისტემების შექმნას, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება ბუნების დაცვის მოთხოვნები. მანქანათმშენებლობის სამინისტროები არ ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას სატყეო-სამეურნეო და ხე-ტყის დასამზადებელი ტექნიკის წარმოების გაფართოებისათვის. არ კმაყოფილდება მანქანებისა და მექანიზმების რემონტზე სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის საწარმოთა მოთხოვნილებები.

საკმარისად არ არის გამოყენებული მერქნისა და მერქნის ნარჩენებისაგან სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების, გადიდების, აგრეთვე ხილის, კენკრის, თხილის, სოკოს, სამკურნალწამლო მცენარეებისა და ტყის სხვა პროდუქციის დამზადებისა და გადამუშავების შესაძლებლობანი.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები ჯერ კიდევ სრულად ვერ უწევენ კონტროლს ტყის გაშენების, ტყეების დაცვისა და სწორი გამოყენების, ტყის მელიორაციისა და ტყეთმოწყობის ღონისძიებების განხორციელებას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო ამოცანად ჩაითვალოს ტყეების მოვლა-დაცვის, ტყის რესურსების კომპლექსური და რაციონალური გამოყენების, მათი დროული აღდგენის, პროდუქტიულობის ამაღლების უზრუნველყოფა, ტყეების წყალდამცავი, დამცავი ჰავის მარეგულირებელი, სანიტარიულ-ჰიგიენური, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო თვისებების გაძლიერება სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების, აგრეთვე გარემოს გაუმჯობესების მიზნით.

2. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გაითვალისწინოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს მუდმივი კომისიების, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა წინადადებები და შეიმუშაოს და განახორციელოს ტყის რესურსების გამოყენების, ტყეების აღდგენისა და დაცვის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი, ამასთან მხედველობაში იქონიოს:

სრულყოს დაგეგმვა იმ მიზნით, რომ კომპლექსურად და რაციონალურად იყენებდნენ ტყის რესურსებს, გაუმჯობესდეს ხე-ტყის მრეწველობის წარმოების ორგანიზაცია და სახალხო მეურნეობის ხე-ტყის მასალით მომარაგება, გაძლიერდეს ტყეების წყალდამცავი, დაცვითი, გამაჯანსაღებელი და სხვა სასარგებლო ბუნებრივი თვისებები.

გაუმჯობესოს ტყესაკაფი ფონდის გამოყენება, უზრუნველყოს წიწვოვანი ტყეების ჭრა დამტკიცებული საანგარიშო ტყეკაფის ფარგლებში, აღმოფხვრას საანგარიშო ტყეკაფის ზედმეტი ჭრა და პირობით-პირწმინდა ჭრა, შეამციროს მერქნის დანაკარგები მისი დამზადების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების დროს, კიდევ უფრო შეამციროს ხე-ტყის ჯორგად დაცურება, აამაღლოს უწყება-სამინისტროთა პასუხისმგებლობა ამ მოთხოვნების შესრულებისათვის;

უზრუნველყოს მერქნის, კერძოდ, რბილი ფოთლოვანი ჯიშების რაციონალური გამოყენება სსრ კავშირის ევროპულ ნაწილში და ლარიქსისა — ციმბირის და შორეული აღმოსავლეთის რაიონებში, დაჩქაროს მერქნისა და მისი ნარჩენების დამზადების და ღრმა გადამუშავების სიმძლავრეთა განვითარება, განსაკუთრებით ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში;

აამაღლოს ტყის სავარგულების პროდუქტიულობა, უზრუნველყოს ტყის დროული აღდგენა ძვირფასი ჯიშებით, სრულყოს ტყის აღდგენისა და დამცავი ტყის გაშენების ხერხები და აამაღლოს ამ ღონისძიებათა ეფექტიანობა, განახორციელოს ტყის მოვლის საჭირო ღონისძიებანი;

გაძლიეროს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკა ტყეებში; აამაღლოს საწარმო-ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და მოქალაქეთა პასუხისმგებლობა ტყის სახანძრო უშიშროების უზრუნველყოფისათვის და განახორციელოს ტყის ხანძრების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციის ღონისძიებანი;

გაფართოოს სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები აქტუალურ პრობლემებზე, რომლებიც ეხება სატყეო მეურნეობის გაძღოლას, ტყის რესურსების გამოყენებასა და აღდგენას, მერქნისა და სხვა სასარგებლო ტყის პროდუქციის უკეთ მოხმარებას, ხანძრებისა და მავნებელ-დაავადებებისაგან ტყეების დაცვას;

დააჩქაროს სატყეო-სამეურნეო და ხე-ტყის დამზადების სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციისათვის განკუთვნილი ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის შემუშავება, წარმოება და დანერგვა, რომლებიც უზრუნველყოფენ გარემო ბუნების დაცვას და ნაკაფში ტყის აღდგენას.

3. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ ჯეროვანი კონტროლი ტყეების დაცვისა და ტყის რესურსების რაციონალური გამოყენებისადმი, ტყეთსარგებლობის დადგენილი წესების შესრულებისადმი, ტყის აღდგენისა და სხვა სატყეო-სამეურნეო სამუშაოთა დროულად და ხარისხიანად განხორციელებისადმი, სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისადმი.

4. სსრ კავშირის ხე-ტყისა და ხისდამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სხვა ხე-ტყის დამამზადებელმა უწყება-სამინისტროებმა უზრუნველყონ მათთვის გამოყოფილი ტყესაკაფი ფონდის ყველაზე სრული და რაციონალური გამოყენება, ხე-ტყის დამზადებისა და ხის დამუშავების წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ტყეთსარგებლობისა და ტყეთაღდგენის წესებისა და ნორმების განუხრელი შესრულება.

5. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივმა საბჭოებმა და მათმა აღმასრულებელმა კომიტეტებმა სრულად განახორციელონ ტყის გამოყენებისა და მოვლა-დაცვისადმი კონტროლის უფლებები, რომლებიც კანონმდებლობით აქვთ მინიჭებული; უფრო ფართოდ ჩაბაბან საზოგადოებრიობა ქვეყნის ტყის სიმდიდრეთა დაცვის უზრუნველყოფის საქმეში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1977 წლის 17 ივნისი.

ხალხის კეთილდღეობისათვის, კომუნიზმისათვის

(დასასრული).

ფილიალისტური ეკონომიკის განვითარების, მეურნეობრიობის მეთოდების სრულყოფის კარდინალურ ამოცანებს. ამასთან ზოგადსახელმწიფოებრივი პრობლემების დამუშავება ორგანულად ერწყმის ითითეული მოკავშირე რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარებას.

დეპუტატმა მოკლედ დაახასიათა ბელორუსიის სს რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე საზოგადოების ცხოვრება ძნელი წარმოსადგენია, თუ სწორად არ არის ორგანიზებული სატყეო მეურნეობა. რესპუბლიკაში ტყის ტერიტორიის მესამედი უკავია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში მისი ფართობი 1.800 ათასი ჰექტარით და მეტად გაიზარდა.

ტყის აღრიცხვა-აღდგენა, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება გბრემის შენარჩუნების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია, აღნიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ი. ვორობიოვმა.

ჩვენს ქვეყანაში ახლა დიდი მოცულობით წარმოებს ტყის აღდგენის სამუშაოები. საბჭოთა სახელმწიფოს განუხრელი მზრუნველობის წყალობით სულ უფრო იზრდება მათი ეფექტიანობა და ხარისხი.

სახალხო მეურნეობის გაძღოლის გეგმითმა ხასიათმა შესაძლებლობა მოგვცა გაგეზარდა ხეტყის დამზადების მოცულობა ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში. დარგის სპეციალისტებმა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა მეშვეობით შეძლეს უფრო რაციონალურად გამოყენებინათ ბიოფუსი მასალები, რომლებსაც ტყე სახალხო მეურნეობას აძლევს.

ორატორი შეეხო ხანძრებისა და მავნებლებისაგან ტყის მასივების დაცვის პრობლემებს და ხაზგასმით აღნიშნა ამ საქმეში ფარათობი 1.800 ათასი ჰექტარით და მეტად გაიზარდა.

ტყის აღრიცხვა-აღდგენა, მისი რესურსების რაციონალური გამოყენება გბრემის შენარჩუნების უზრუნველყოფის დიდმნიშვნელოვანი ნაწილია, აღნიშნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატმა ვ. ი. ვორობიოვმა.

